



საქართველოს მთავრობის ბანკარბულება

N 2425 2018 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

ქალაქ ფოთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებისათვის გრანტის მიღების
თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებს, 2018 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერის ფარგლებში, ევროკავშირის (წარმოდგენილი ევროპის კომისიის მიერ) მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის – „საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის განხორციელება ქალაქ ფოთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებში“ – პროექტის ფარგლებში მიიღონ გრანტი არა უმეტეს:

- ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტმა – 333 850 (სამას ოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ევრო, საიდანაც უშუალოდ მისთვის განკუთვნილი გრანტის ოდენობა შეადგენს 10 545 (ათი ათას ხუთას ორმოცდახუთი) ევროს;
- ბ) აბაშის მუნიციპალიტეტმა - 7 382 (შვიდი ათას სამას ოთხმოცდაორი) ევრო.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთისა და აბაშის მუნიციპალიტეტებს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის განსახორციელებლად გამოიყენონ ამავე პროექტის ფარგლებში გასაფორმებელ საგრანტო ხელშეკრულებაში მოცემული ევროკავშირის შესყიდვის პროცედურები.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე